

ჰიკარბილირუბინების მართვა
ახალშობილ ბავშვებში, რომელთა
გესტაციური ასაკი 35 და მეტი კვირაა

კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო
სტანდარტი

(პროტოკოლი)

პიაერბილირუბინემიის მართვა ახალშობილ პაპშებებზე, ორგელია

გმისტაციური ასაკი 35 და მეტი კვირაა

(სამშობიარო სახლისთვის)

1. დეფინიცია

ახალშობილთა სიყვითლე ახალშობილის კანის და სკლერების ყვითელი შეფერილობაა, რაც განპირობებულია ქსოვილებში ბილირუბინის ჩაღავებით.

ჰიპერბილირუბინემიად მიჩნეულია სისხლის შრატში ბილირუბინის შემცველობის მატება 85 μmol/L (5 mg/dL -ზე) მეტად.

2. პრიტერიუმები

დამადასტურებელი

- ⇒ გამოვლენილი სიყვითლე
- ⇒ შარდის და განავლის ფერის ცვლილება (პირდაპირი ჰიპერბილირუბინემიის დროს)
- ⇒ ბილირუბინემიული ენცეფალოპათიის ნიშნები
- ⇒ ჰიპერბილირუბინემია

გამომრიცხავი:


- ⇒ სიყვითლის არარსებობა
- ⇒ შსბ ნორმალური მაჩვენებელი

3. სიმპტომები

- კანისა და ხილილი ლორწოვანი გარსის იქტერულობა
- შესაძლო ჰეპატოსპლენომეგალია
- ბილირუბინემიული ენცეფალოპათიის ნიშნები (“ცერებრული კივილი”. ჰიპერტონია ვლინდება კისრის (რეტროკოლისი) და სხეულის (ოპისტოტონუსი) უკან რკალისებურად გადახრით, აპნეა, ცხელება, კვების აუტანლობა, ღრმა სტუპორი კომამდე, ზოგჯერ კრუნჩევები)

სიყვითლის სიმძიმის შეფასება ლოკალიზაციის მიხედვით (WHO) ცხრილი 1

ასაკი (დღე)	სიყვითლის ლოკალიზაცია	დასკვნა
1	ნებისმიერი	«საშიში» სიყვითლე
2	კიდურები	
≥ 3	ტერფები, მტევნები	



პრამორის მოდიფიცირებული სქემა

ზონა	1	2	3	4	5
შსბ $\mu\text{mol/L}$	100	150	200	250	>250

კრამერის მოდიფიცირებული სქემა საშუალებას იძლევა სიყვითლის გაგრცელების მიხედვით კივარაუდოთ, თუ რამდენია შრატის საერთო ბილირუბინის დონე.

4. დიაბენტიპიკურ-ლაბორატორიული ფასტები:

თუ არსებობს საშუალება მიზანშეწონილია ჩატრდეს:

ჩვენება	ლაბორატორიული კვლევა
პირველ 24 სთ-ში გამოვლენილი სიყვითლე	• შსბ განსაზღვრა
ასაკისათვის შეუსაბამო მკვეთრი სიყვითლე კანზე („საშიში“ სიყვითლე)	• შსბ განსაზღვრა
ბილირუბინის სწრაფი მატება (ბუტანის ნომოგრამაზე > 95 პერცენტილს) (ახალშობილთა ჰემოლიზურ დაავადებაზე ეჭვი)	• სისხლის ჯგუფი და რეზუსი,
მომატებული პირდაპირი (კონიუგირებული) ბილირუბინის დონე	• სისხლის საერთო ანალიზი და უს ფარდობა

5. მპურნალობა

პირველადი პროფილაქტიკა

- მოთხოვნილებითი ძუძუთი კვება დღეში 8-12-ჯერ.

მეორადი პროფილაქტიკა

- ახალშობილთა პიპერბილირუბინების განვითარების რისკის შეფასება (იხ.
გაიდლაინი)

მკურნალობა იწყება ფოტოთერაპიით:

ფოტოთერაპიის ჩვენებები

- ⇒ ბულირუბინის დონე აღემატება 95 პერცენტილს ბუტანის ნომოგრამაზე.
- ⇒ “საშიში სიყვითლე”.
- ⇒ ჯანმოს რეკომენდაციით ფოტოთერაპიის დაწყების ჩვენებები მოცემულია ცხრილში

ასაკი (დღე)	დროული ჯანმრთელი		ნებისმიერი რისკ-ფაქტორის მქონე ახალშობილი*	
	მგ/დღ	µmol/L	მგ/დღ	µmol/L
I	გამოხატული სიყვითლე			
II	15	260	13	220
III	18	310	16	270
IV და მეტი	20	340	17	290

- ⇒ დაბალი რისკის და დროულ ჯანმრთელ ახალშობილებში იწყება “ჩვეულებრივი ფოტოთერაპია”
- ⇒ დანარჩენ შემთხვევაში რეკომენდებულია “ინტენსიური ფოტოთერაპია” (იხ.
გაიდლაინი)

ვოტოთერაპიის პროცედურა და მონიტორინგი

- ტემპერატურა სინათლის წყაროს ქვეშ უნდა იყოს $28\text{--}30^{\circ}\text{C}$
- ფოტოერაპიის დროს ბავშვი უნდა იყოს შიშველი, ეცვას ერთჯერადი ჰიგიენური საფენი, თვალებზე უნდა ჰქონდეს დამცავი სათვალე
- ყოველ 3 საათში ერთხელ ბავშვს უნდა შეუცვალონ პოზიცია
- ყოველ 3 საათში ერთხელ უნდა შეფასდეს სინათლის წყაროს ქვეშ არსებული ტემპერატურა და ახალშობილის სხეულის ტემპერატურა. თუ ბავშვის t მეტია მეტია $37,5^{\circ}\text{C}$ საჭიროა ოთახის ტემპერატურის დაქვეითება ან ფოტოერაპიის დროებით შეწყვეტა, სანამ ბავშვის ტემპერატურა არ იქნება ნორმის ფარგლებში ($36,5\text{--}37,5^{\circ}\text{C}$)
- ფოტოერაპია მიმდინარეობს მუდმივად, იგი წყდება მხოლოდ იმ პროცედურების დროს, რომელთა წარმოება არ შეიძლება სინათლის წყაროს ქვეშ.
- ცენტრალური ციანოზის არსებობის შესაფასებლად ფოტოერაპია უნდა შეწყდეს მცირე დროით
- ფოტოერაპიის დროს უნდა გაგრძელდეს ბავშვის კვება:
 - ⇒ ახალშობილთან უნდა გაგრძელდეს ძუძუთი კვება მოთხოვნილების მიხედვით (ინტერვალი კვებათა შორის არაუმეტეს 3 სთ-ისა). ძუძუთი კვების დროს წყდება ფოტოერაპია და შესაბამისად ბავშვს უნდა მოეხსნას დამცავი სათვალე.
 - ⇒ თუ ბავშვი იკვებება გამოწველილი რძით ან ფორმულით ან პარენტერალურად მისაწოდებელი საკვების ან სითხის რაოდენობა იზრდება დღიური ნორმის $10\text{--}15\%$ -ით.
 - ⇒ თუ ბავშვი იკვებება ზონდით ან პარენტერალურად, ფოტოერაპია მიმდინარეობს უწყვეტად.
 - ⇒ სითხის ან საკვების მიწოდება ნაჩვენებია მხოლოდ არაეფექტური ძუძუთი კვების, სხეულის მასის პათოლოგიური დანაკარგის ($>10\text{--}15\%$ მესამე დღისთვის) და დგპიდრატაციის შემთხვევაში (იხ გაიდლაინი).

ფოტოერაპიის დროს კანის ვიზუალური შეფასებასთან ერთად აუცილებელია შრატის ბილირუბინის განსაზღვრა, რადგან ფოტოერაპია “ათეთრებს” კანს. ბილირუბინის მონიტორინგი

- განმეორებითი განსაზღვრა – 4–6 სთ-ში, თუ შსბ მცირდება განმეორებითი განსაზღვრა 8–12 სთ-ში.
- თუ შსბ არ მცირდება ან იზრდება საჭიროა რეზერალი

ვოტოთერაპიის შეჯვეტის ჩვენება

- შსბ $< 13\text{--}14 \text{ mg/dL}$ ($239 \mu\text{mol/L}$),
- ფოტოერაპიის შეწყვეტიდან 24 სთ-ში კონტროლდება შსბ, თუ შსბ მოიმატა იმ დონემდე, რომელზეც დაიწყო ფოტოერაპია, ფოტოერაპია განმეორებით იწყება

ვოტოთერაპიის დროს განში ჩაღაბებული გილირუბინი სორაფად იშლება, ამიტომ არ არის რეპრომენდებული კანის ზერზე დაზრდნობით შრატში ბილირუბინის დონის შესავასება როგორც ფოტოთერაპიის დროს, ისე მისი შეჯვეტიდან 24 სთ-ის ბანგავლობაში.

რეფერალი

რეფერალი მაღალი დონის კლინიკაში ხორციელდება, თუ:

- არ არის ფოტოთერაპიის ჩატარების შესაძლებლობა.
- ახალშობილს სჭირდება ფოტოთერაპია და არ არის შეს განსაზღვრის საშუალება
- ფოტოთერაპიის მიუხედავად:
 - ⇒ შეს არ მცირდება
 - ⇒ შეს იზრდება ან ადემატება $342 \mu\text{mol/L}$
- სიყვითლის ლოკალიზაციის მიხედვით სიყვითლის სიმძიმის შეფასებისას დადგენილი “საშიში სიყვითლე”.
- მწვავე ბილირუბინული ენცეფალოპათია
- ბილირუბინის მაღალი საათობრივი ნამატი $8.5 \mu\text{mol/L/სთ} (>0.5 \text{ მგ/დლ/სთ})$.
- ოჯახურ ანამნეზში მძიმე სიყვითლის ან კერნიქტორუსის არსებობა
- სიყვითლესთან ერთად ვლინდება სხვა დაავადების ნიშნები (მაგ. სეფსისი)
- პირდაპირი (კონიუგირებული) ჰიპერბილირუბინემია (პირდაპირი ბილირუბინი შეს-ს 50%-ზე მეტია)

იმ შემთხვევაშიც, როდესაც ახალშობილი საჭიროებს რეფერალს, სანამ მოხდება მისი ტრანსპორტირება აუცილებელია ფოტოთერაპიის ჩატარება.

რისკის შეზასხვა გაფრამდე

- ყველა ახალშობილის გაწერამდე უნდა შეფასდეს ჰიპერბილირუბინემიის განვითარების რისკი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ახალშობილებისათვის რომლების ეწერებიან დაბადებიდან 72 სთ-ზე ადრე.
- რისკის შეფასებისათვის გაწერის წინ ხდება ბილირუბინის განსაზღვრა (შეს) და კლინიკური რისკ-ფაქტორების შეფასება.
- მშობელს უნდა მიეწოდოს ზეპირი და/ან წერილობითი ინფორმაცია ბინაზე სიყვითლის შეფასების და საშიშროების ნიშნების შესახებ.
- მეთვალყურეობის გრაფიკი: თუ ახალშობილი სამშობიაროდან ეწერება 48-72 სთ-ში, ნეონატოლოგმა უნდა დაგეგმოს სამედიცინო შეფასება 120 სთ-ის (5 დღე) ასაკში
- თუ სამშობიაროდან გაწერის შემდეგ მეთვალყურეობა შეუძლებელია და არსებობს ჰიპერბილირუბინემიის განვითარების რისკ-ფაქტორები, ახალშობილის გაწერა უნდა გადაიდოს, სანამ არ იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისი მეთვალყურეობა ან სანამ გაივლის მაღალი რისკის პერიოდი (72-96სთ)

რისკის შეზასხვა სამშობიაროდან გაფრამდე

- მშობელს უნდა მიეწოდოს ზეპირი და/ან წერილობითი ინფორმაცია ბინაზე სიყვითლის შეფასების და საშიშროების ნიშნების შესახებ.
- თუ სამშობიაროდან გაწერის შემდეგ მეთვალყურეობა შეუძლებელია და არსებობს მძიმე ჰიპერბილირუბინემიის განვითარების რისკ-ფაქტორები, ახალშობილის გაწერა უნდა გადაიდოს, სანამ გაივლის მაღალი რისკის პერიოდი (72-96სთ).

6. გაიდლაინი, რომელსაც უყრდნობა აღნიშნული პროტოკოლი – „ჰიპერბილირუბინემიის მართვა დროულ ახალ შობილ ბავშვებში”

7. აღამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რჩეულებები:

ნეონატოლოგი, ექთანი, ლაბორანტი,
აუცილებელი პირობები: ფოტოთერაპიის აპარატი, დამცავი სათვალე, ინკუბატორი,
ლაბორატორია
სასურველი: შსბ განსაზღვრა

ჰიპერტონიული შემთხვევის მართვა ახალშობილ ბაზშებში, რომელთა

გენეტიკური ასაკი 35 და მეტი კვირაა

(სტაციონარისთვის)

1. დეფინიცია

ახალშობილთა სიყვითლე ახალშობილის კანის და სკლერების ყვითელი შეფერილობაა, რაც განპირობებულია ქსოვილებში ბილირუბინის ჩაღავებით.

ჰიპერბილირუბინემიად მიწნეულია სისხლის შრატში ბილირუბინის შემცველობის მატება 85 μmol/L (5 მგ/დლ-ზე) მეტად.

2. პრიტერიუმები

დამადასტურებელი

- ⇒ გამოვლენილი სიყვითლე
- ⇒ შარდის და განავლის ფერის ცვლილება (პირდაპირი ჰიპერბილირუბინემიის დროს)
- ⇒ ბილირუბინემიული ენცეფალოპათიის ნიშნები
- ⇒ ჰიპერბილირუბინემია

გამომრიცხავი:

- ⇒ სიყვითლის არარსებობა
- ⇒ შსბ ნორმალური მაჩვენებელი

3. სიმპტომები

- კანისა და ხილილი ლორწოვანი გარსის იქტერულობა
- შესაძლო ჰეპატოსპლენომეგალია
- ბილირუბინემიული ენცეფალოპათიის ნიშნები (“ცერებრული კივილი”. ჰიპერტონია - კისრის (რეტროკოლისი) და სხეულის (ოპისტოტონუსი) უკან რკალისებურად გადახრა, აპნეა, ცხელება, კვების აუტანლობა, ღრმა სტუპორი კომამდე, ზოგჯერ კრუნჩევები)

4. დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული ფენტები:

ჩვენება	ლაბორატორიული კოდენცია
<ul style="list-style-type: none">• გამოვლენილი სიყვითლე• ბილირუბინის სწრაფი მატება (ნამატი >8.5 μmol/L/სთ ან 0.5 mg/dl/სთ), რაც არ აიხსნება ობიექტური გამოკვლევით და ანამნეზური მონაცემებით ან შსბ ბუტანის ნომოგრამაზე > 95 ჰერცენტილზე	<ul style="list-style-type: none">• შსბ განსაზღვრა• სისხლის ჯგუფი და რეზუსი, კუმბსის ტესტი (პირდაპირი – ბავშვის სისხლში, არაპირდაპირი – დედის სისხლში), თუ არ არის გაკეთებული ჭიდლარის სისხლში• სისხლის საერთო ანალიზი, რეტიკულოციტების რიცხვი და ნაცხი ფორმიანი ელემენტების მორფოლოგიის შესასწავლად• ჰემატოკრიტი• პირდაპირი (კონიუგირებული) ბილირუბინის განსაზღვრა• ბ/ა თანაფარდობა

	<ul style="list-style-type: none"> თუ შესაძლებელია, ისაზღვრება, გ6 ფდ შესაძლებელია საჭირო გახდეს პემატოკრიტის და ალბუმინის განსაზღვრა
მომატებულია პირდაპირი (კონიუგირებული) ბილირუბინის დონე	<ul style="list-style-type: none"> შარდის ანლიზი შარდის კულტურა საეჭვო სეფსისის დროს სისხლის ბაქტერიოლოგიური კვლევა, სისხლის საერთო ანალიზი (უს ფარდობა), C რეაქტიული ცილა
სიყვითლე სამი კვირის ასაკის ახალშობილში	<ul style="list-style-type: none"> საერთო და პირდაპირი (კონიუგირებული) ბილირუბინი პირდაპირი ბილირუბინის მომატებისას კვლევა ქოლესტაზის სადიაგნოსტიკოდ (ექოსკოპია, დვიძლის ფუქციური სინჯები, კომპიუტერული ტომოგრაფია) სკრინინგი პიპოთირეოზსა და გალაქტოზემიაზე

5. მკურნალობა

მკურნალობა იწყება “ინტენსიური” ფოტოთერაპიით:

ფოტოთერაპიის ჩვენებები

⇒ ბილირუბინის დონე აღემატება 95 პერცენტილს ბუტანის ნომოგრამაზე (იხ სქემა 1).

⇒ ფოტოთერაპიის დაწყების ჩვენება შეს დონისა და ახალშობილის გესტაციური ასაკის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით მოცემულია სქემაზე (იხ სქემა 2). ფოტოთერაპია იწყება როცა შეს აღემატება თითოეული ჯგუფისთვის სქემაზე გამოსხულ მრუდის მაჩვენებლის დონეს.

სქემა 2 ახალშობილის ასაკსა და ბილირუბინის დონესთან ერთად ითვალისწინებს რისკ-ფაქტორებსა და გესტაციურ ასაკს. მოცემული სქემის მიხედვით “ინტენსიური” ფოტოთერაპია იწყება, შემდეგი პრინციპებით:

- დაბალი რისკის ახალშობილი* (ჯანმრთელი, რისკ-ფაქტორების გარეშე, გესტაცია ≥ 38 კვირა) – შეს >12 მგ/დლ ($205 \mu\text{mol/L}$) 24 სთ-ში, შეს >15 მგ/დლ ($257 \mu\text{mol/L}$) 48 სთ-ში, შეს >18 მგ/დლ ($308 \mu\text{mol/L}$) >72 სთ.
- საშუალო რისკის ახალშობილი (გესტაცია ≥ 38 კვირა და რისკ-ფაქტორები, ან გესტაცია 35-37 კვირა რისკ-ფაქტორების გარეშე გარეშე) – შეს > 10 მგ/დლ ($171 \mu\text{mol/L}$) 24 სთ-ში, შეს >13 მგ/დლ ($222 \mu\text{mol/L}$) 48 სთ-ში, შეს >15 მგ/დლ ($257 \mu\text{mol/L}$) >72 სთ. გესტაციის 35 კვირის ახალშობილებში ფოტოთერაპია შეიძლება დაიწყოს უფრო დაბალ მაჩვენებლებზე.
- მაღალი რისკის ახალშობილი (გესტაცია 35-37 კვირა და რისკ-ფაქტორები) - შეს > 8 მგ/დლ ($137 \mu\text{mol/L}$) 24 სთ-ში, შეს >11 მგ/დლ ($188 \mu\text{mol/L}$) 48 სთ-ში, შეს >13.5 მგ/დლ ($231 \mu\text{mol/L}$) >72 სთ.

* თუ დაბალი რისკის ახალშობილებში შეს დონე 2-3 მგ/დლ-ით დაბალია მოყვანილ მონაცემებზე, შესაძლებელია მკურნალობის დაწყება “ჩვეულებრივი” ფოტოთერაპიით

- სტაციონარში გამოხატული სიყვითლით შემოსულ ახალშობილს უტარდება “ინტენსიური” ფოტოთერაპია ბილირუბინის მაჩვენებლის განსაზღვრამდე
- “ინტენსიური” ფოტოთერაპია ასევე რეკომენდებულია პემოლიზური დაავადების დროს³⁵

თუ შრატის ალბუმინის მაჩვენებელი ნაკლებია 30 გ/ლ-ზე, ფოტოთერაპიის დაწყება რეკომენდებულია შეს უფრო დაბალი მაჩვენებლების დროს.

D

ვოლფორაპიის ჟაზჩვენება:

- პირდაპირი (კონიუგირებული) პიპერბილირუბინები (პირდაპირი ბილირუბინი შეს-ს 50%-ზე მეტია)
- თანდაყოლილი პორფირია ან პორფირიის ოჯახური ანამნეზი.

ვოლფორაპიის პროცედურა და მონიტორინგი

- ტემპერატურა სინათლის წყაროს ქვეშ უნდა იყოს $28-30^{\circ}\text{C}$
- ფოტოთერაპიის დროს ბავშვი უნდა იყოს შიშველი, უცას ერთჯერადი პიგიენური საფენი, თვალებზე უნდა პქონდეს დამცავი სათვალე
- ყოველ 3 საათში ერთხელ ბავშვს უნდა შეუცვალონ პოზიცია
- ყოველ 3 საათში ერთხელ უნდა შეფასდეს სინათლის ქვეშ არსებული ტემპერატურა და ახალშობილის სხეულის ტემპერატურა. თუ ბავშვის t მეტია მეტია $37,5^{\circ}\text{C}$ საჭიროა ოთახის ტემპერატურის დაქვეითება ან ფოტოთერაპიის დროებით შეწყვეტა, სანამ ბავშვის ტემპერატურა არ იქნება ნორმის ფარგლებში ($36,5-37,5^{\circ}\text{C}$)
- ფოტოთერაპია მიმდინარეობს მუდმივად, იგი წყდება მხოლოდ იმ პროცედურების დროს, რომელთა წარმოება არ შეიძლება სინათლის წყაროს ქვეშ.
- ცენტრალური ციანოზის არსებობის შესაფასებლად ფოტოთერაპია უნდა შეწყდეს მცირე დროით
- ფოტოთერაპიის დროს უნდა გაგრძელდეს ბავშვის კვება:
 - ⇒ ახალშობილთან უნდა გაგრძელდეს ძუძუთი კვება მოთხოვნილების მიხედვით (ინტერვალი კვებათა შორის არაუმეტეს 3 სთ-ისა). ძუძუთი კვების დროს წყდება ფოტოთერაპია და შესაბამისად ბავშვს უნდა მოეხსნას დამცავი სათვალე.
 - ⇒ თუ ბავშვი იკვებება გამოწველილი რძით ან ფორმულით ან პარენტერალურად მისაწოდებელი საკვების ან სითხის რაოდენობა იზრდება დღიური ნორმის $10\text{ \%}-ით$.
 - ⇒ თუ ბავშვი იკვებება ზონდით ან პარენტერალურად, ფოტოთერაპია მიმდინარეობს უწყვეტად.
 - ⇒ სითხის ან შემადებითი საკვების მიწოდება ნაჩვენებია მხოლოდ არაეფექტური ძუძუთი კვების, სხეულის მასის პათოლოგიური დანაკარგის ($>10\text{-ზე } \text{მესამე } \text{დღისთვის}$) და დეპიდრატაციის შემთხვევაში (იხ გაიდლაინი).

C

ფოტოთერაპიის დროს კანში ჩალაგებული ბილირუბინი სწრაფად იშლება, ამიტომ არ არის რეკომენდებული კანის ფერზე დაყრდნობით შრატში ბილირუბინის დონის შესაფასება როგორც ფოტოთერაპიის დროს, ისე მისი შეწყვეტიდან 24 სთ-ის განმავლობაში.

ბილირუბინის მონიტორინგი

- თუ შსბ 342–428 μmol/L (20–25 მგ/დ), განმეორებითი განსაზღვრა – 3-4 სთ-ში,
- თუ შსბ <342 μmol/L (20 მგ/დ), განმეორებითი განსაზღვრა – 4–6 სთ-ში, თუ შსბ აგრძელებს დაქვეითებას განმეორებითი განსაზღვრა 8-12 სთ-ში.
- თუ შსბ არ მცირდება ან უახლოვდება შენაცვლებითი ტრანსფუზიის ჩვენების დონეს (იხ. სქემა3), იწყება შენაცვლებითი ტრანსფუზია.
- ინტენსიურ ფოტოთერაპიის მიუხედავად შსბ-ის უცვლელი დონე ან მატება, მიუთითებს ჰემოლიზზე.

ფოტოთერაპიის შემთხვევა

- შსბ < 13–14 mg/dL (239 μmol/L),
- ფოტოთერაპიის შეწყვეტიდან 24 სთ-ში კონტროლდება შსბ, თუ შსბ მოიმატა იმ დონემდე, რომელზეც დაიწყო ფოტოთერაპია, ფოტოთერაპია განმეორებით იწყება

06ტრაგენური იმუნოგლობულინის გამოყენება

⇒ იზოიმუნური ჰემოლიზური დაავადების დროს რეკომენდებულია ინტრავენური იმუნოგლობულინის გამოყენება (0,5-1 გ/კგ 2 სთ-ს განმავლობაში), თუ შსბ იმატებს ინტენსიური ფოტოთერაპიის მიუხედავად ან შსბ არის 2-3 მგ/დლ-ით (34-51 μmol/l) ნაკლები შენაცვლებითი ტრანსფუზიის ჩვენების დონეზე (იხ. სქემა 2). აუცილებელობის შემთხვევაში ინტრავენური იმუნოგლობულინის ეს დოზა შეიძლება განმეორდეს 12 სთ-ში.

B

შენაცვლებითი ტრანსფუზია

ჩვენებები:

D

- მწვავე ბილირუბინული ენცეფალოპათია - შენაცვლებითი ტრანსფუზია იწყება დაუყოვნებლივ.
- ინტენსიური ფოტოთერაპიის მიუხედავად:
 - ⇒ შსბ მატება - შსბ აღემატება შენაცვლებითი ტრანსფუზიის დაწყების მაჩვენებლს (სქემა 3).
 - ⇒ უცვლელი შსბ.
- ბ/ა შეფარდება, რომელზეც ნაჩვენებია შენაცვლებითი ტრანსფუზია (ცხრილი 1)
- სამშობიაროდან გაწერილი ახალშობილების პოსპიტალიზაციის შემთხვევაში შსბ-ს მაღალი მაჩვენებელი - აღემატება შენაცვლებითი ტრანსფუზიის დაწყების მაჩვენებლს (სქემა 3). (ტრანსფუზიამდე იწყება “ინტენსიური” ფოტოთერაპია და საჭიროების შემთხვევაში რეპიდრატაცია, შსბ ისაზღვრება ყოველ 2-3 სთ-ში ერთხელ და თუ ადეკვატური რეპიდრატაციისა და “ინტენსიური” ფოტოთერაპიის მიუხედავად შსბ რჩება შენაცვლებითი ტრანსფუზიის ჩვენებაზე მაღალი 4-6 სთ-ის შემდეგ, იწყება შენაცვლებითი ტრანსფუზია)⁶².

შენაცვლებითი ტრანსფუზიის დაწყების ჩვენება შსბ დონისა და ახალშობილის გესტაციური ასაკის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით მოცემულია სქემაზე (იხ. სქემა 3).

ცხრილი 1 რისკის კატეგორია	ბ/ა შეფარდება, როდესაც საჭიროა შენაცვლებითი ტრანსფუზია	
	შსბ (მგ/დლ)/ ალბ (გ/დლ)	შსბ (µmol/L)/ ალბ (µmol/L)
ახალშობილები გესტაციური ასაკი - ≥ 38 კვირა	8.0	0.94
ჯანმრთელი ახალშობილები გესტაციური ასაკით ან რისკის ჯგუფის ახალშობილები გესტაციური ასაკით ≥38 კვირა ან იზომუნური პემოლიზური დაავადება ან გნუდ დეფიციტი	7.2	0.84
რისკის ჯგუფის ახალშობილები გესტაციური ასაკით 35–36 კვირა ან იზომუნური პემოლიზური დაავადება ან გნუდ დეფიციტი	6.8	0.80

ტექნიკა

- შენაცვლებითი ტრანსფუზიის დროს გამოიყენება მთლიანი სისხლი Rh შეუთავსებლობის დროს გამოიყენება O(I) Rh(-), ხოლო ABO შეუთავსებლობის დროს O(I) Rh შესაბამისი სისხლი. თუ სახეზეა ორივე სახის შეუთავსებლობა გამოიყენება O(I) Rh(-) სისხლი.
- სისხლი გამოკვლეული უნდა იყოს შიდსხა და სხვა ინფექციებზე.
- გადასასხმელი სისხლის რაოდენობა შეადგენს ახალშობილის მოცირკულირე სისხლის ორმაგ რაოდენობას, საშუალოდ 170-180 მლ/კგ. ან გადასასხმელი სისხლის გამოსათვლელი ფორმულა გამოითვლება 85 x ახალშობილის წონა კგ x 2
- შენაცვლებისათვის ხდება 2 ვენის ან არტერია და ვენის კათეტერიზაცია; იღებენ ბავშვის 20 მლ სისხლს და შეყავთ 20 მლ დონორის სისხლი (3-4 წთის განმავლობაში) შემთბარის 36,7-37,0°C-მდე.
- დღენაცლულებსა და მძიმე მდგომარეობაში მყოფ ახალშობილებში შენაცვლება ხდება 5-10 მლ-ით

ახალშობილის მომზადება

- კუჭის შიგთავსის ასპირაცია ზონდით 8F და დია ზონდის დატოვება კუჭში
- შეიძლება საჭირო გახდეს ბავშვის იმობილიზაცია
- შარდის შემკრების გამოყენება დიურეზის კონტროლისთვის

შენაცვლებითი ტრანსფუზიის ჩატარებამდე ფასდება ახლშობილის

- ტემპერატურა
- გულისცემა
- სუნთქვა
- წნევა
- გლუკოზა შრატში
- შარდის ანალიზი
- განავლის ანალიზი სისხლის შემცველობაზე
- კანის ფერი
- ტონუსი

უშუალოდ ტრანსფუზიის დროს ფასდება ვიტალური ნიშნები (ყოველ 15 წთ-ში)

- ტემპერატურა
- გულისცემა (მწვერვალზე) (უმჯობესია კარდიომონიტორით)
- სუნთქვა
- კანის ფერი

მონიტორინგი ტრანსფუზიის შემდეგ

- გრძელდება ფოტოთერაპია
- კარდიო მონიტორინგი

კონტროლდება:

- სისხლის წნევა პროცედურის დამთავრების შემდეგ
- საათობრივად 6 სთ-ის განმავლობაში: ტემპერატურა, გულისცემა (მწვერვალზე), სუნთქვა
- გლუკოზა შრატში ყოველ 3 სთ-ში 24 სთ-ის განმავლობაში
- მუცლის გარშემოწერილობა 3-4 სთ-ში 24 სთ-ის განმავლობაში, ნაწლავების პერისტალტიკის აუსკულტაცია
- შარდის ანალიზი
- განავალი სისხლის შემცველობაზე
- საკეტის აუტანლობის ნიშნები: ღებინება, მუცლის შებერვა
- შსბ 6 სთ-ში ერთხელ

6. გაიდლაინი, ოომელსაც ეპრდნობა აღნიშნული პროტოკოლი – „ჰიპერბილირუბინემიის მართვა დროულ ახალ შობილ ბავშვებში”


7. ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ომშრსი:

ნეონატოლოგი, ექთანი, ლაბორანტი,

აუცილებელი პირობები: ფოტოთერაპიის აპარატი, დამცავი სათვალე, ინკუბატორი, კარდიომონიტორი, კლინიკური და ბიოქიმიური ლაბორატორია, კათეტერები, შპრიცი, ინფუზომატი.


სქემა 1. ბუტანის ნომოგრამა

ბუტანის (Bhutan) ნომოგრამა



სქემა 2


ფოტოთერაპიის გაიდლინი 35 კვირის და მეტი გესტაციური ასაკის პოსპიტალიზებულ ახალშობილებში



- საერთო ბილირუბინი, არ გამოაკლოთ პირდაპირი (კონიუგირებული ბილირუბინი)
- რისკ-ფაქტორები – იზომიზნური ჰემოლიზური დააგადება, გრუდ დეფიციტი, ასფიქსია, გამოხატული ლეთარგია, ტემპერატურის არასტაბილურობა, სეფსისი, აციდოზი, ან ალბუმინი $<3,0 \text{ g/dL}$
- ჯანმრთელ 35-37 კვირის გესტაციური ასაკის ახალშობილებში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს, როგორც შეს მაჩვენებელი საშუალო რისკის ზონაშია, 35 კვირის გესტაციური ასაკის ახალშობილებში – შეს დაბადები მაჩვენებლის, ხოლო 37 კვირის გესტაციური ასაკის ახალშობილებში – შეს დაბადები მაჩვენებლის დროს

სქემა 3

შენაცვლებითი ტრანსფუზიის გაიდლინი 35 კვირის და მეტი გესტაციური ასაკის პოსპიტალიზებულ ახალშობილებში



- დაუყოვნებელი შენაცვლებითი ტრანსფუზია რეკომენდირებულია მწვავე ბილირუბინული ენცეფალოპათიის გარდამავალ და ბოლო სტადიის დროს (პიპერტონუს, რკალად მოხსრა, რეტროკორილის, ომსტოტონუს, ცხელება, მაღალი აგ ზებული ხმით ტირილი) ან თუ შეს 5 მგ/დღე-ით (85 μmol/l) აღმატება გრაფიკის ხაზებს
- საერთო ბილირუბინი, არ გამოაკლოთ პირდაპირი (კონიუგირებული ბილირუბინი)
- რისკ-ფაქტორები – იზომიზნური ჰემოლიზური დააგადება, გრუდ დეფიციტი, ასფიქსია, გამოხატული ლეთარგია, ტემპერატურის არასტაბილურობა, სეფსისი, აციდოზი, ან ალბუმინი $<3,0 \text{ g/dL}$
- ისაზღვრება შრატის ალბუმინი და ბაზურდობა